



# დედა-შვილს კაღლის “ჭენებით” ნაშრომნი ფულით გაჰქონდათ თავი

შორენა ლლონტი  
ბურია ნიშნი

გეროს მონაცემებით, საქართველოში ბავშვთა 28 პროცენტი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ, ხოლო 12% უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს. ახალგაზრდა პედაგოგთა კატეგორიის მონაცემებით კი, ოზურგეთში ასეთ პირობებში 400-მდე ბავშვი იმყოფება.

- რაზე ოცნებობთ? - ჰკითხა მასწავლებელმა პირველკლასელ რიკარდოს.

- პურზე! - უპასუხა რიკარდომ.

10 წლის რიკარდო სკოლაში წისვლიამდე სწავლაზე ოცნებობდა. ახლა კი, როცა პირველ კლასშია, პურზე და ყოველდღიური მოხმარების ნივთებზე ოცნებობს.

რიკარდოს არაჩვეულებრივი ძალი ჰყავდა - შეისევამდა თავის პატარა პატრომს ზურგზე და ხალხმრავალ ადგილებში “ჭენებით” დაატარებდა. ამ უცნაური სანახაობით განტყფრებული იდამიანები რიკარდოსთვის ფულს არ იშურებდნენ. ახლა, როცა ძალი აღარ ჰყავს, დარჩა თუ ავდარში ქუჩაში დგას, გამწვანებული-გამომწვანებული მანქანებს აჩერებს და მძღოლებს დახმარებას სთხოვს. თუმცა, ასე ფულის შოვნა ძალიან ფჭირს, რადგან გამწვანებულნი იმეოთად აჩერებენ და ტერისტული სენზორის დასრულებას შემდეგ, მათმა რიცხვმა ივლო კიდევ სხვა რომ არაფე-

რი, მისი “საქმიანობა” გარკვეულ რისკთანაა დაკავშირებული, რადგან ნატანების მონაცემთი ჩქაროსნულია და მანქანები აქ ჩვეულებრივზე სწრაფად მოძრაობენ.

- ძაღლის “ჭენება” მე ზამბელმა მასწავლა. ყოველდღე დაედიოდი ქუჩაში და ფულს ვშოულობდი. ახლა მიჭირს - მარჩენალი მომიკვდა, - ამბობს რიკარდო.

ასე უცნაურად ნაშრომნი ფულით, რიკარდო არა მარტო საკუთარი თავის, არამედ დედის გამოკვებასაც ახერხებდა. ძალიან პატარა იყო, როცა მიხვდა, რომ დედას, ფიოდორას, მის გარდა, არავინ ჰყავდა.

- ძაღლის “ჭენებით” დღეში ათ ლარსაც შოულობდა. ამ ფულით, პურს, საცხებს და სათამაშოებს ყიდულობდა, - იხსენებს რიკარდოს დედა, 45 წლის ფიოდორა მიხაეცა.



# დედა-შვილს კაღლის "ჭანებით" ნაშრომი ფულით გაქონდათ თავი

ა-1 →

რიკარდო მიხაევი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე დედასთან ერთად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნატანებში ცხოვრობს. სახლი აგარიფულია, ფანჯრებმატკრეული, კარებმორყეული, სახურავიანდილი, იატაკის გარემდე იქ ისე წვიმს, როგორც — გარეთ. შემოდგომის მიწურულსაც ისე ცივა, როგორც ცივ ზამთარში.

— ასეთ პირობებში ვცხოვრობთ. გვიბრუნებენ დახმარებას, მაგრამ დაპირებებში წლები გააღია. ბავშვი წამოიზარდა და მოთხოვნილებებზე ვაეზარდა, მხოლოდ ღვთის იმედად ვართ. — ამბობს ფიოდორა. ოჯახის თვითრი ბიუჯეტი 95 ლარს არ იღვამატება და ეს ფულიც ძირითადად, წამლებისთვის სჭირდებათ.

— ზამთარი მოდის. არც ადვილა მატებს, არც საბანი და არც შეშა. ასე, ბელსობით ეზოში ტოტებს თუ დავამტრევე. ელექტროილეული რომე მქონდეს, მაინც ვერ ვისარგებლებ, შუქის ფულის ვადახდა სად შემოიღო? — წუხს რიკარდოს დედა.

— როცა რიკარდოს სახლი ვნახე, მამინძეხვედი. სიღარიბე რა ყოფილა. — ამბობს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჭალაჭის მაგორიტარი დეპუტატი და ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის თანამშრომელი ლევან მკავანაძე.

თითოეულ ბავშვს აქვს უფლება, იყოს სოციალურად დაუცვლი და სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს აუცილებელი ზომები იმისთვის, რათა ეს უფლება სრულყოფილად სორციელდებოდეს. — ბავშვთა სიღარიბის დაძლევის ეს სტრატეგია რიკარდოზე არ ვრცელდება, იგი არც სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაშია რეგისტრირებული, მიზეზი დაბადების მოწმობის არარსებობაა. ამ პრობლემის გამო, ბიჭუნა სამი წელი ოკეზობდა სკოლაში წასვლაზე. თუმცა, იგი მალე არ მოაგვარებს ამ პრობლემას, შესაძლოა, სწავლის შეწყვეტაც მოუწიოს.

— ზომ შეიძლება, არსებობდეს სამსახური, რომელიც ჩემნაირ ადამიანებს ამგვარ პრობლემებს მოუგვარებს? — კითხულობს მიხაევა.

როგორც ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოზურგეთის ოფისში ამბობენ, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის 24 მუხლის ე მუხტის შესაბამისად, დაბა-

დების განცხადების ვალდებულება ეკისრება ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს უფლებამოსილ საჯარო მოსამსახურეს, თუ ამ მუხლის "ა", "ბ", "გ" და "ე" ქვეპუნქტებში აღნიშნულმა პირებმა არ განაცხადეს დაბადების თაობაზე და ეს გახდა ცნობილი ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანოსთვის.

— თუ სოფლის რწმუნებულს ამ ინფორმაციას არ ფლობს, ეს მისა მიწესია. — ამბობს იურისტი ვაზა ზერეკიძე.

სოფლის დეპუტატის თემურ ქინქლასის თქმით, თურმე, რიკარდოს დაბადების მოწმობა არა რწმუნებულმა, არამედ სკოლის დირექტორმა უნდა გაეფუთოს. მიუხედავად იმისა, რომ ნატანების საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობებში არ შედის ასეთი პრობლემების მოგვარება. მან მაინც მიიმართა სამოქალაქო რეესტრის ოზურგეთის სამსახურს. როგორც სამოქალაქო რეესტრის ოზურგეთის სამსახურის უფროსი ვანო მენაბდე ამბობს, ნატანების საჯარო სკოლის დირექტორის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ოჯახს 12 ნოემბერს ეწვევნენ და ადგილზე შეისწავლეს არსებული მდგომარეობა:

— რიკარდო მიხაევის დედას, ფიოდორა მიხაევის დაბადების იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ განცხადება დავაწერიეთ, აგრეთვე, მოვიპოვეთ დასტუებითი მასალები და სამი მოწმე, რომლებიც ბავშვის დაბადებას დაადასტურებენ. — გვითხრა სამოქალაქო რეესტრის ოზურგეთის სამსახურის უფროსმა.

ვინაიდან განმცხადებელი შეზღუდული შესაძლებლობების მქონეა, 27 ნოემბერს, ადგილზე დანიშნულია ზეპირი მოსმენა და ამის შემდეგ, 5 დღის ვადაში, მოხდება გადაწყვეტილების გამოტანა. შემდეგ კი დაბადების ფაქტის რეგისტრაცია, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები იმასაც ამბობენ, რომ რიკარდოს ახალ წლამდე ეთილმოწყობილი სახლიც ექნება:

— რიკარდოს სახლის შესავთებლად საჭირო ხარჯები უკვე გაანგარიშებულია. სამშენებლო მასალებიც თითქმის მოძიებულია და უახლოეს დღეებში დაიბეჭდება შეკეთდება ის 2 ოთახი, სადაც ბიჭუნა ცხოვრობს, — გვითხრა გურიის გუბერ-

ნატორის მოადგილემ ლელა თავართქილაძემ. — ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში თანხების სიმჭირის გამო, შევქმენით საინიციატივო გუნდი, რომელმაც სპონსორები უკვე მოიძია და რომელიც უშუალოდ ტელმმლუკანლობს რიკარდოს სახლის რეაბილიტაციის საქმეს. სახლისთვის საჭირო ფანჯრები უკვე მოტანილია, ვერჯერობით, ვერ შევკაქვს ტელეფონარი, საწოლები და სხვა საჭირო ნივთები. როგორც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე გიორგი ტაყაძე ამბობს, ამ ეტაპზე ბიუჯეტიდან თანხა არ არის გამოყოფილი, თუმცა, ხელი-სუფლება აქტიურად ჩაებმება რიკარდოს პრობლემებში და რა საშუალებაც გამოინახება ბიუჯეტში, იმით დაეხმარებიან.

სოფელ ნატანების რწმუნებულის ირაკლი ცერცვაძის თქმით, ყველაფერი გაკეთდება, რომ რიკარდომ უკეთეს პირობებში იცხოვროს. მიუხედავად იმისა, რომ ცერცვაძე აღნიშნულ თანამდებობაზე 3 წელია მუშაობს, მისთვის ამ ფაქტის შესახებ მაშინ გახდა ცნობილი, როცა ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირმა რიკარდოს შესახებ დოკუმენტური ფილმი გადაიღო. პრეზენტაციაზე ყველა ის ადამიანი იყო მიწვეული, ვისაც აღნიშნული პრობლემის მოგვარება ევალება.

— ბელსუფლება საზოგადოებას, მითუმეტეს, უნარშეზღუდულებს, სჭირდება იმისთვის, რომ ის მათ პრობლემების მოგვარებაში დაეხმაროს. თუ სახელმწიფო არ იზრუნებს შეკირებულ და უნარშეზღუდულ ადამიანებზე, მაშინ რა საჭიროა სახელმწიფო თავისი სტრატეგებით? — კითხულობს ექსპერტი ლევან ჩხაიძე.

— ისეთი სერვისი, რომელიც ამ ოჯახს შეესაბამება, ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს. ამისთვის ფსიქოლოგიური სარეაბილიტაციო ცენტრია საჭირო. ამ ეტაპზე, მხოლოდ მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაა შესაძლებელი. არსებული სოციალური სერვისები ძალიან მეტი ოჯახისთვის ტერმინულია. უნდა არსებობდეს მუნიციპალიტეტში მოქნილი რგოლი, რომელიც აიღებს პასუხისმგებლობას და ამ ადამიანებს პრობლემებს მოუგვარებს. — განმარტავს ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარე მარინა თაფურია. იგი აქცენტს ისეთ ოჯახებზე აკეთებს,



ამ სახლში ცხოვრობენ რიკარდო და ფიოდორა | ფოტო: შორენა ლლონტი



ფიოდორა სარეცხს ქაობში რეცხავს | ფოტო: შორენა ლლონტი

რომლებიც არ შეესაბამებიან არც ერთ სოციალურ პროგრამას, რომელიც გურიის რეგიონში მუშაობს: — აღნიშნულ შემთხვევებზე რეაგირებისთვის გაწერილი პროცედურები, მუნიციპალიტეტის სოციალურ სამსახურს უნდა ჰქონდეს. მზად ვართ, მონაცემები გადავცეთ შესაბამის სამსახურებს და ერთად ვიმუშაოთ თუ, რა თქმა უნდა, ამის სურვილი ექნებათ, — გვითხრა მან.

— სახელმწიფოს ზრუნვის საგანი, სწორედ მცვესი საკითხების მოგვარება უნდა იყოს. დღეს კი ფაქტის წინაშე ვდგავართ: პრობლემა არსებობს, მისი მომგვარებელი კი არა, — ამბობს ლევან ჩხაიძე. რიკარდო დაპირებების შესრულების შოლოდინშია, თბილ ოთახსა და ცხელ სადილზე ფიჭრობს. იცის, რომ მალე ზამთარი დადგება და ავღარაში ჰურის ფულის შოვნაც გაუჭირდება.